საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/103 "13" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

რ. კუპატაძის მცხეთის რაიონული სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის №1/64 განკარგულებით ინიცირებულ იქნა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის მხოლოდ 1 საშტატო ერთეულია და ის ვაკანტურია.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 7 მოსამართლის, მათ შორის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის - რომან კუპატაძის განაცხადი. რ. კუპატაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ იგი 2018 წლიდან თანამდებობაზე განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. რ. კუპატაძის გამოცდილებისა და მოტივაციის გათვალისწინებით, ვლინდება, რომ მას შესწევს უნარი მაღალი დატვირთვის მიუხედავად, წარმატებით გააგრძელოს საქმიანობა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, რომან კუპატაძე გათავისუფლდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე